ასწავლე საქართველოსთვის!

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ასწავლე საქარ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმები მიმართულია ზოგადი განათლების სისტემის განვითარებისა და საჯარო სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლებისკენ. საქართველოში საჯარო სკოლის ნებისმიერი მოსწავლისთვის, მიუხედავად იმისა, დედაქალაქში სწავლობს იგი, თუ მაღალმთიანი რეგიონის სოფელში, ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის მასწავლებელთა პროფესიონალიზმი და მოტივაცია გადამწყვეტია.

საქართველოს რეგიონების სკოლებში პროფესიონალი კადრების მოზიდვისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის შეიქმნა პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“, რომლის მიზნებია:

- ☑ სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- ☑ საქართველოს რეგიონების სკოლებში არსებული მასწავლებლის ვაკანსიების შევსება;
- ☑ ახალგაზრდა, ენერგიული და მოტივირებული სპეციალისტების მასწავლებლის პროფესიით დაინტერესება და ჩართვა სასწავლო პროცესში;
- ☑ მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

რთველოსთვის!

პედაგოგების შერჩევა

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ცენტრი იწვევს ენერგიულ, შრომისმოყვარე, ლიდერის თვისებებით გამორჩეულ ახალგაზრდებს, რომლებსაც შესწევთ უნარი, გაუღვივონ მოტივაცია მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს, რომ აქტიურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში.

მასწავლებლების შერჩევა ხდება კონკურსის წესით. კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა ყველა მსურველს, რომელიც ფლობს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხს სხვადასხვა სპეციალობით, გათვიცნობიერებულია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, არის მოტივირებული და გაცნობიერებული აქვს, რატომ სურს პროგრამაში მონაწილეობა.

კონკურსი ორ ეტაპად ხორციელდება. პირველი ეტაპი ტესტირებაა, რომელიც ადგენს აპლიკანტის საგნობრივ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ტესტირების შედეგები განსაზღვრავს მეორე ეტაპზე გადასული კანდიდატების რაოდენობას. მეორე ეტაპზე – გასაუბრებაზე დგინდება კანდიდატის მოტივაცია, ინტერესი საგნის მიმართ, პიროვნული თვისებები, უცხო გარემოში ადაპტაციის უნარი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის დონე და ა.შ.

მოსამზადებელი ტრენინგ-პროგრამები და უწყვეტი პროფესიული განვითარება

პროგრამის მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებლების შერჩევის შემდეგ ვიწყებთ მათ მომზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას.

შერჩეულ კადრებს შორის ბევრი ახალგაზრდაა, რომლებსაც სჭირდებათ თანამედროვე პედადოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება. შესაბამისად, სწავლების პროცესის მაქსიმალურად ხარისხიანად წარმართვის მიზნით, უტარდებათ სპეციალურად მათთვის შემუშავებული ტრენინგ-კურსები პედაგოგიურ უნარ-ჩვევებში, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში და ზოგადი განათლების საკითხებში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს კონსულტანტ-მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროგრამის საწყის ეტაპზე პედაგოგებისთვის ტრენინგების ჩატარება, არამედ, მათი რეგულარული ჩართვა სხვადასხვა ტრენინგსა და პროექტში. ამისთვის ეწყობა სამუშაო შეხვედრები. მონაწილეები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ცვლიან ინფორმაციებს, ერთად სახავენ გზებს, თუ როგორ გაუმკლავდნენ არსებულ გამოწვევებს; ჩატარებული ტრენინგები ისეთ საკითხებსაც მოიცავს, როგორიცაა, ანგარიშგების სისტემა, კლასის მართვა, სწავლებისა და სწავლის ეფექტური მეთოდები, კოლეგებთან და მშობლებთან თანამშრომლობა. ტრენინგების მონაწილეები მსჯელობენ, რა პროფესიულ ცოდნას უნდა ფლობდეს პედაგოგი ცოდნის პრაქტიკაში ეფექტური გამოყენებისთვის.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მომავალშიც გეგმავს სხვადასხვა სახის შეხვედრას, ტრენინგს, კონსულტაციასა და კონფერენციას, რაც პედაგოგებს დაეხმარება პროფესიულ განვითარებასა და სერტიფიცირებისთვის მზადებაში.

ცენტრი, სასწავლო პროცესის უკეთესად წარმართვის მიზნით, პედაგოგებს დამატებით უზრუნველყოფს სასკოლო რესურსებით: სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინოებებითა და სასკოლო ინვენტარით.

2010 წლის მონაცემები



- ამჟამად პროგრამაში 68 კონსულტანტ-მასწავლებელია ჩართული.
- პროგრამაში ჩართული პედაგოგები სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები არიან: უცხო ენის მასწავლებლები (40%), ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები (32%), სხვა (28%).
- „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის წარმატებით განხორციელებაში მთავარი დაინტერესებული მხარე სკოლა, სკოლის პერსონალი, მოსწავლეები და მათი მშობლები არიან. კონსულტანტ-მასწავლებლები პროგრამის ფარგლებში ვალდებულნი არიან, ჩაერთონ სკოლისა და თემის ცხოვრებაში, ადაპტირდნენ სოციალურ გარემოსთან და განახორციელონ სასწავლო პროცესისა და სკოლისათვის სასარგებლო ღონისძიებები თუ პროექტები. დირექტორთა 91%, ხოლო მშობელთა 89% კმაყოფილია პროგრამის მიმდინარეობით.
- კონსულტანტ-მასწავლებლების უმრავლესობა (98%) აცხადებს, რომ პროგრამამ მათი მოლოდინი გაამართლა.
- პროგრამის დასრულების შემდეგ კონსულტანტ-მასწავლებლების უმრავლესობა (90%-ზე მეტი) გეგმავს სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლას და პროფესიაში დარჩენას.
- იმ კლასებში, სადაც ასწავლიან პროგრამაში ჩართული პედაგოგები, ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე.



წარმატების ფორმულა

„ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის მონაწილეთა საქმიანობაზე დაკვირვებამ გამოავლინა პედაგოგები, რომლებიც პასუხობენ მასწავლებლის თანამედროვე გამოწვევებს:

- ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე;
- არიან წარმატებულები;
- აქვთ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მიზანმიმართული ხედვა;
- შეუძლიათ მოსწავლეებისა და მშობლების აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში.

კონსულტანტ-მასწავლებლების წერილები

ნინო მესტვირიშვილი

ბიოლოგიის მასწავლებელი. ონის რ-ნი. სოფ. პიპილეთი. 2010 წ.

„თბილისში ვმუშაობდი პედაგოგად ერთ-ერთ სკოლაში. ტელევიზიით მოვისმინე პროექტის „ასწავლე საქართველოსთვის“ შესახებ. ეს იყო აუხსნელი იმპულსი, რომელმაც მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება! მე აღმოვაჩინე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კუთხე, რომელიც ძალიან შემიყვარდა. ადგილობრივები მეკითხებიან, თბილისელი ქალი აქ რამ ჩამოგიყვანაო. მე კი კითხვითვე ვპასუხობ, თქვენ როგორ მიდიხართ აქედან მეთქი...“.

ია ელიაშვილი

სამეგრელო-ზემო სვანეთი. მარტვილი. სოფ. აბუდათი 2009 წ.

„ავისრულე ჩემი ბავშვობის ოცნება, მეკეთებინა ძალზე შრომატევადი და ფაქიზი საქმე, რასაც მომავალი თაობის სწავლება-აღზრდა ქვია. პროექტმა ძირეულად შეცვალა ჩემი ცხოვრება და დღეს შემიძლია თამამად განვაცხადო: მე ვიპოვე საკუთარი თავი მასწავლებლობაში. ეს ჩემი პროფესიაა!“

ირმა ხმელიძე

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. თეთრიწყაროს რ-ნი. სოფ. შავსაყდარი, 2010 წ.

„...იყო ადაპტაციის რთული პერიოდი, მაგრამ ახლადშეძენილი მოსწავლეების სიყვარულმა და ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომამ ყველაფერი გადაწონა და დამაძლევინა. მუდმივად ვგრძნობ მათგან სიყვარულსა და პატივისცემას. ვფიქრობ, რომ გამიმართლა და საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდი“.

ქეთევან კვირიაშვილი

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. სოფელი ბუგეული. რაჭა. 2009 წ.

„...პროექტის სახელწოდებამ თავიდანვე მომხიბლა. როდესაც ვპასუხობდი კითხვას, რატომ მოინდომეთ ამ პროექტში მონაწილეობა, აღვნიშნე, რომ ეს ერთგვარი გამოწვევა იყო, თუმცა, ჩემი გადაწყვეტილება საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქმე, რომელსაც პროექტის მონაწილეები ვაკეთებთ, ქვეყნის მომავალს წაადგება!"

დიანა ბაღდადელიშვილი

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. მესტიის რ-ნი. სოფ. იელი 2010 წ.

„...ამ შესანიშნავი პროექტის წყალობით ვეზიარე სვანურ კულტურას... XXI საუკუნეში უშბის, თეთნულდის, ენგურის ბობოქარი ტალღების, სინგურისფერი ნისლისა და სვანური კულტურის „მორევში“ მოქცეული XIX საუკუნის ცხოვრებით ვცხოვრობ და ვასწავლი თანამედროვე მეთოდებით. დავრწმუნდი, რომ მასწავლებლობა ისეთივე ხელოვნებაა, როგორც მხატვრობა, თეატრი, მუსიკა... თუმცა ჩვენ, ამ შემთხვევაში, ვქმნით უფრო ღირებულ „პროდუქტს“, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალს განსაზღვრავს“.

2011 წლისთვის პროგრამამ საქართველოს რეგიონების 49 სკოლა და 2404 მოსწავლე მოიცვა

„ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის მიზანია საქართველოს სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება
და ყველა მოსწავლისთვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
თბილისი 0102, დ. უზნაძის ქ. 52

www.tpdc.ge